საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

შემოსავლების სამსახური

# 2020 წლის 31 მარტი 2019 წლის საანგარიშო პერიოდზე საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაციის წარდგენის ბოლო დღეა

## გთხოვთ გაითვალისწინოთ:

## საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაცის წარდგენისა და გადასახადის გადახდის ვადები

| 2019 წლის საშემოსავლო გადასახადის წლიურ დეკლარაციას 2020 წლის 01 აპრილამდე წარადგენენ | საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება |
|---|---|
| მეწარმე ფიზიკური პირები, რომლებიც ახორციელებდნენ ეკონომიკურ საქმიანობას 2019 წლის განმავლობაში | 2020 წლის 01 აპრილამდე |
| მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირები | სპეციალური რეჟიმით დაბეგვრას დაქვემდებარებულ შემოსავლის ნაწილში არ იხდიან საშემოსავლო გადასახადს; ჩვეულებრივი წესით მიღებული შემოსავლის ნაწილში 2020 წლის 01 აპრილამდე |
| მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირები, ჩვეულებრივი წესით დასაბეგრი საქმიანობის ნაწილში | 2020 წლის 01 აპრილამდე |
| მეწარმე ფიზიკური პირები, რომლებსაც მცირე ბიზნესის სტატუსი მიენიჭათ 01,02,2019 – 01,01,2020 წლამდე პერიოდში, არასრულ საგადასახადო პერიოდში მიღებული შემოსავლების ნაწილში | 2020 წლის 01 აპრილამდე |
| ფიზიკურ პირები, რომლებმაც 2019 წლის საანგარიშო პერიოდში მიიღეს სარგებელი ქონების ჩუქებით ან მემკვიდრეობით მიღებისას (გარდა მე-3 და მე-4 რიგის მემკვიდრეებისა), თუ ასეთი შემოსავალი არ არის გათავისუფლებული სსკ-ის 82-ე მუხლით | 2020 წლის 01 აპრილამდე |

| | |
|---|---|
| ფიზიკური პირები მატერიალური აქტივების რეალიზაციისას (ბინა, მანქანა და ა.შ.) მიღებული ნამეტი შემოსავლის დაბეგვრისას, თუ ასეთი შემოსავალი არ არის გათავისუფლებული სსკ-ის 82-ე მუხლით | 2020 წლის 01 აპრილამდე |
| ფიზიკური პირები, რომლებიც ახორციელებენ ქონების იჯარით გაცემას და რომელთა შემოსავალიც არ ექვემდებარება გადახდის წყაროსთან დაბეგვრას (მაგ: საცხოვრებელი ფართის საცხოვრებელი ან კომერციული მიზნით გაქირავება და სხვა) | 2020 წლის 01 აპრილამდე |
| საქართველოს რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური პირები, თუ მათ მიერ საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავალი არ დაბეგრილა გადახდის წყაროსთან | 2020 წლის 01 აპრილამდე |
| არარეზიდენტი ფიზიკური პირი, რომელმაც მიიღო წყაროსთან დაკავებული შემოსავალი და რომელიც დეკლარაციას წარადგენს გადასახადის გადაანგარიშების მოთხოვნით | |
| საქართველოში არსებული დიპლომატიური სტატუსის მქონე საერთაშორისო ორგანიზაციაში დასაქმებული ფიზიკური პირები | არა უგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა |
| თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში დასაქმებული ფიზიკური პირები | არა უგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა. |